



*ქართველი ისტორიკოსის მიხედვით ჯვარციხის
Kutaisi Historical Museum Guide*

*საქართველოს მიხედვით
Georgian Museums*



საქართველოს მუზეუმები
Georgian Museums

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის
გზამკვლევი

NIKO BERDZENISHVILI
KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM
GUIDE



2011

სერიიდან: საქართველოს მუზეუმები

Series: GEORGIAN MUSEUMS

გზამკვლევის გამოცემა დაფინანსდა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ

Publication Financed by

MINISTRY OF CULTURE AND MONUMENTS PROTECTION OF GEORGIA

ტექსტის ავტორები: ომარ ლანჩავა, ნუკრი (ნუგზარ) კვარაცხელია, ციცინო მუმლაძე

რედაქტორი:

ინგა ქარაია

ტექსტის თარგმანი:

ქეთევან უგლავა

ფოტოგრაფია:

მირიან სტეფანია, თორნიკე ტურაბელიძე

კომპიუტერული დიზაინი:

ლაშა ქარაია

Text Author: Omar Lanchava, Nukri (Nugzar) Kvaratskhelia, Tsitsino Mumladze

Editor:

Inga Karaia

Translation:

Ketevan Uglava

Photography:

Mirian Stepania, Tornike Turabelidze

Computer Design:

Lasha Karaia

სამუშაო ჯგუფი მადლობას უხდის ICOM-ის საქართველოს ეროვნულ კომიტეტს გზამკვლევის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის

Special thanks to ICOM National Committee in Georgia

გარეკანზე: ოთხთავის მინიატურა. XII ს.

On cover: Gospel's miniature. XII c.

ISBN 978-9941-0-3897-6

© Niko Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum

© Ministry of Culture and Monuments Protection of Georgia

შინაარსი

შესავალი	6
მუზეუმის დაარსება	10
არქეოლოგიური კოლექცია	20
ეთნოგრაფიის ფონდი	32
ჭედური ხელოვნების ნიმუშების კოლექცია	38
ფერწერული ხატების კოლექცია	70
ტექსტილის ნიმუშების კოლექცია	78
ხელნაწერებისა და ძველნაბეჭდი ნიგნების კოლექცია	92
საბრძოლო აღჭურვილობის კოლექცია	122
ფოტოგრაფიის ფონდი	128
სახვითი ხელოვნების ნიმუშების კოლექცია	148
სამეცნიერო ბიბლიოთეკა და ახალი ისტორიის ფონდი	150
ინფორმაცია დამთვალიერებლებისათვის	152

CONTENTS

PREFACE	■	6
ESTABLISHING OF THE MUSEUM	■	10
ARCHAEOLOGICAL COLLECTION	■	20
ETHNOGRAPHY COLLECTION	■	32
METALWORK COLLECTION	■	38
PAINTED ICON COLLECTION	■	70
TEXTILE COLLECTION	■	78
MANUSCRIPT AND OLD PRINTED BOOK COLLECTION	■	92
MILITARY EQUIPMENT COLLECTION	■	122
PHOTOGRAPHY COLLECTION	■	128
FINE ART COLLECTION	■	148
SCIENTIFIC LIBRARY AND NEW HISTORY FUND	■	150
VISITOR INFORMATION	■	152



MUTARI STATE
HISTORICAL
MUSEUM

PREGA LACEROS
MUSEU
8763380

ბერძნული და ქართული მითოლოგიის თანახმად, ქალაქი ქუთაისი (ანტიკური წყაროების მიხედვით – აია, ქუთაია, ქუთათისი), სადაც ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი მდებარეობს, ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია და დაახლოებით 3000 წელს ითვლის. აპოლონიოს როდოსელის “არგონავტიკის” (ძვ. წ. III ს.) მიხედვით, სწორედ აიადან გაიტაცეს არგონავტებმა ოქროს საწმისი კოლხეთის მეფე აიეტის გრძნეული ქალიშვილის მედეას დახმარებით. ხოლო ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის (VI ს.) ცნობით, მდინარე რიონის “სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე... მაშინ ამ ციხეს კოტაიონს უწოდებდნენ ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან...”

Kutaisi belongs to the list of ancient cities in the world (ancient names: Aea/Aia, Kutaisi, Kutaissi). According to the Georgian legend and Greek mythology and archaeological researches Kutaisi is about 3 thousand years old city. From here was stolen Golden Fleece by the Argonauts with help of Medea, the daughter of Colchian King Aiet (Apollonius of Rhodes, *Argonautica*, III c. BC). There always was a great interest from Greek-Romanian and Iran-Arabian invaders in Colchეთი and in its capital Kutaisi. Kutaisi always has been the capital city firstly in the ancient Colchis (XIII-VII cc. BC, than in Egris-Lazika and Egris-Abkhazia and at last in the united Georgia until XII century.

Bagrat III (960 –1014), King of the Abkhazians from 978 on (as Bagrat II) and King of Georgia united these two titles by

არგონავტების მოგზაურობის მარშრუტი. აღდგენილია მარის სტელას მიერ Argonautai - route creted by Maris Stella



თავდაპირველად, ძვ. წ. XIII-VII საუკუნეებში ქუთაისი უძველესი ქართული სახელმწიფოს კოლხეთის (კოლხა, ძვ.წ. III ს.), შემდეგ კი ეგრის-ლაზიკისა (VI ს.) და ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებული სამეფოს (VIII ს. ბოლო) სატახტო ქალაქს წარმოადგენდა. 978 წელს ბაგრატ III-მ (960-1014 წწ.) ახლადგაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი ქუთაისში გადმოიტანა და ქალაქს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქვეყნის დაქსაქსული ძალების გამაერთიანებლის ფუნქცია მიანიჭა. სწორედ აქ ეკურთხა მეფედ საქართველოს უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი დავით IV აღმაშენებელი (1073-1125 წწ.), რომელმაც “განავრცო ქვეყანა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე”, ქუთაისთან ახლოს ააგო გელათის ტაძარი, სადაც დაარსა გელათის აკადემია, რომელსაც თანამედროვენი “სხუად ათინად” იხსენიებდნენ და მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. 1122 წელს, არაბთა მმართველობისგან თბილისის გათავისუფლების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა სამეფო ტახტი თბილისში გადაიტანა, ხოლო ქუთაისი კვლავ ერთიანი საქართველოს მეფეთა სამყოფელად და რეზიდენციად დარჩა. 1489 წლიდან, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ქუთაისი იმერეთის სამეფოს დედაქალაქია და კვლავ გვევლინება მტერთან ბრძოლაში სამეფოს ცალკეულ სამთავროთა გამაერთიანებელ ცენტრად.

თემურლენგის გამანადგურებელი ლაშქრობებისა (1403 წ.) და ოსმა-




ბაგრატ III (960-1014 წწ.)
საქართველოს მეფე 978-1014 წლებში
გელათის მონასტრის ფრესკა. XI ს.

Bagrat III (960-1014)
King of Georgia in 978-1014
Gelati monastery fresco. XI c.

dynastic inheritance and, through conquest and diplomacy, added some more lands to his realm, effectively becoming the first king of what is generally known as a unified Georgian monarchy. He oversaw the construction of Bagrati Cathedral in Kutaisi – in capital city of united Georgian kingdom from 978 to 1122 CE and from the XV century until 1810 it was the capital of the Imeretian Kingdom.

Right here was crowned 16 years old David Agmashenebeli (Builder), the greatest military leader and merited king (1073-1125). Despite his age, he succeeded in driving the Seljuk Turks out of the country, his reforms of the army and administration enabled him to reunite the country and bring most of the lands of the Caucasus under Georgia’s control. Besides, King David gave close attention to the educa-

ლოთა შემოსევების (1669-1691 წწ.) შედეგად, ქუთაისი აოხრდა და მოსახლეობა გაიჟლიტა, მაგრამ იმერეთის სატახტო ქალაქმა მაინც შეძლო შეენარჩუნებინა ოდინდელი მნიშვნელობა. იმერეთის მეფე სოლომონ I-ის (1735-1784 წწ.) მიერ ქუთაისიდან ოსმალთა განდევნის პერიოდიდან (1770 წ.) კი, საფუძველი ჩაეყარა ქალაქის აღორძინებას: აშენდა ახალი ნაგებობები, გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა, გაიხსნა ასამდე სავაჭრო სახლი, დაარსდა პირველი სტამბა



დავით აღმაშენებელი (1073-1125 წწ.)
საქართველოს მეფე 1089-1125 წლებში
გელათის მონასტრის ფრესკა. XI ს.

David Agmashenebeli (1073-1125)
King of Georgia in 1089-1125
Gelati monastery fresco. XI c.



სოლომონ I (1735-1784 წწ.)
იმერეთის მეფე 1752-1784 წლებში

Solomon I (1735-1784)
King of Imereti in 1752-1784

tion. At the time of David the Builder there were quite a few schools and academies in Georgia, among which Gelati Academy occupies a special place (so-called a second Athens) and other cultural-enlightenment and scholarly centers in Georgia.

Since the second half of XIX century Kutaisi is a centre of Imereti province and is introducing Georgian national-liberation movement. In the beginning of XX century Kutaisi was one of the important initiator in intellectual and literary life with our famous and merited people, who were born in Kutaisi.

(1800 წ.). ქალაქის აღმავლობა სოლომონ II-ის მმართველობის წლებშიც გაგრძელდა. მას შემდეგ, რაც 1804 წელს სოლომონ II იძულებული გახდა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა მიეღო, რუსეთის ხელისუფლებამ 1810 წელს გააუქმა იმერეთის სამეფო მმართველობა და ქუთაისი იმერეთის ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადდა.

ქუთაისისა და იმერეთის მხარის მიერ განვლილ ხანგრძლივი და მშფოთვარე ისტორიის გზას ნათლად ასახავს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცული 200 ათასზე მეტი ექსპონატი, რომლებიც უმდიდრეს მასალას წარმოადგენს საქართველოსა და მახლობელი ქვეყნების ურთიერთობებისა და პოლიტიკურ-ისტორიული პროცესების სრულყოფილად კვლევისა და გააზრებისათვის.



ბაგრატის ტაძარი. X-XI სს. მიჯნა
Bagrati Monastery. Boundary of X-XI cc.

გელათის აკადემია. 1106 წ.
Gelati Academy. 1106



მუზეუმის დაარსება


XIX საუკუნის II ნახევრიდან ქუთაისი იმერეთის გუბერნიის ცენტრია და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენს. XX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის ინიციატორი და წამომწყები ქუთაისში მოღვაწე ერის სახელოვანი შვილები არ ყოფილიყვნენ. 1881 წელს სწორედ ქუთაისში წამოიჭრა დასავლეთ საქართველოს ისტორიული მუზეუმის დაარსების საკითხიც, მაშინ, როცა აქ რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა გაიმართა. ყრილობაზე ჩამოსულ სტუმრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია ქალაქს და მის შემოგარენს, კერძოდ, XII საუკუნის ბრწყინ-

ESTABLISHING OF THE MUSEUM

In 1881 participants of V archaeological congress visited Kutaisi. Seeing Kutaisi and antiquities nearby of it, such as Gelati Monastery, made a great impression on Russian visitors. This inheritance was unknown for them for that time. So, they decided to create a museum or a fund to protect oldest antiquities, but the idea could not be implemented then. Only in 1907 was developed the idea about foundation of the museum.

In December 4, 1911, in Kutaisi's high-school was arranged the meeting, in which was decided to create an independent historical and ethnographical society in Kutaisi. T. Japaridze, G. Gvelesiani, A. Toradze, S. Kvariani and G. Jorjikia created guidelines of this society. In June 4, 1912 government affirmed those guidelines and

ძველი ქუთაისის ხედი. XIX ს-ის II ნახევარი
View of old Kutaisi. The second half of XIX c.





გელათის სამონასტრო კომპლექსი. 1106-1126 წწ.
Gelati Monastery Complex. 1106-1126

ვალე ძეგლს - გელათის მონასტერს, მასში დაცული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ და უძველეს ნიმუშებს, რომლებიც ფაქტობრივად უცნობი იყო იმ დროის გარესამყაროსათვის.

სამწუხაროდ, ადგილობრივი მუზეუმის დაარსება იმ წლებში ვერ მოხერხდა და ეს საკითხი კვლავ მხოლოდ მას შემდეგ წამოიჭრა, როცა 1911 წლის 4 დეკემბერს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში გაიმართა ინტელიგენციის წარმომადგენელთა კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისში ისტორიისა და ეთნოგრაფიის დამოუკიდებელი საზოგადოების დაარსების შესახებ. 1912 წლის 17 ივნისს კი, მთავრობამ დაამტკიცა წესდება და ქუთაისში დაარსდა საისტ-

in Kutaisi was founded historical and ethnographical society with museum department. Since the time is Kutaisi historical museum is established. Founders of the society were Joseph and Simeon Otskheli, Triphon Japaridze, Samson Kipiani and Konstantie Jorjikia.

Since the day of foundation the society had begun to found Georgian national museum. To reach the idea was important to create the funds of museum. At the same time government began to collect the archaeological, historical and ethnographical materials, what was disordered among the population. The main reason to collect these artifacts was historical, cultural and archaeological researches for future scientist, who had to study past historical time of our country.

ორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელშიც სამუზეუმო განყოფილებაც შედიოდა (სწორედ აქედან ითვლის თავის არსებობას ქუთაისის ისტორიული მუზეუმი). საზოგადოებამ (დამფუძნებლები: იოსებ და სიმონ ოცხელები, ტრიფონ ჯაფარიძე, სამსონ ყიფიანი, კონსტანტინე ჯორჯიკია) შექმნის დღიდანვე მიზნად დაისახა ქუთაისში ეროვნული მუზეუმის დაარსება და იწყო ზრუნვა სამუზეუმო ფონდის შესაქმნელად - მოსახლეობაში გაფანტულ ისტორიულ, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ სიძველეთა შესაგროვებლად.



ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(მუზეუმის ადგილსამყოფელი 1923 წელს)

Kutaisi State University
Museum space in 1923

გელათის ღმრთისმშობლის ხატი
(გელათის მონასტრიდან), ოქრო, ვერცხლი. XVI ს.

Icon of the Virgin (From Gelati Monastery). Gold, silver. XVI c.



მუზეუმის ფონდის შექმნაში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დიდი დახმარება გაუწიეს თავადაზნაურთა ოჯახებმა, საიდანაც ძვირფას სამუზეუმო ნივთებს საზოგადოება უფასოდ იღებდა (განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის კირილე ლორთქიფანიძის წვლილი, რომელმაც მუზეუმს საკუთარი უმდიდრესი ლიტერატურული არქივი და ბიბლიოთეკა შესწირა). გარდა ამისა, მოეწყო ეთნოგრაფიული ექსპედიციები მთელ დასავლეთ საქართველოში (შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებში, აფხაზეთსა და სვანეთში) სამუზეუმო ნივთების შესაძენად თუ შემონირობის მოსაძიებლად.

ასე რომ, როცა საქართველოს განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით, 1922 წლის დეკემბერში ქუთაისში დაარსდა საისტორიო მუზეუმი, მასში განთავსდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კუთვნილი საკმაოდ მდიდარი სამუზეუმო კოლექციები და უნიკალური ბიბლიოთეკა. მუზეუმის შენობაში გადატანილი იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაუქმებული სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების არქივებიც, რამაც, თავის მხრივ, უფრო მრავალფეროვანი გახადა მუზეუმის მასალები და გაზარდა მკვლევართა ინტერესიც. მუზეუმის დაარსებისთანავე, მისი პირველი დირექტორის, ტრიფონ ჯაფარიძის ინიციატივით, 1923 წლის 10 ივნისს ქუთაისის I შრომის სკოლის დარბაზში

During the creation process national museum society was helped by Georgian Dukes and Duchesses families. They were presented precious things. Pupils and students took great part to collect those exhibits too. Also famous Georgian Kiril Lortkipanidze donated museum his own literary archives and unique library.

To discover old antiquities the government had founded agent service in the whole west Georgia. They had been collecting materials from Shorapani, Racha, Lechkhumi, Ozurgeti, Zugdidi, Abkhazeti and Svaneti. Sometimes there was organized small expedition for this reason.

რიტონი. ბრინჯაო, ძვ. წ. IV-III სს.
Rhyton. Bronze. IV-III cc. BC





ოხთავი. ეტრატი, ნუსხური. 280 ფურცელი. 24X18 სმ. XII ს. მონამეთა
Gospel. Parchment, Nuskhuri. 280 p. 24X18 cm. XII c. Motsameta

(ახლანდელი აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა) საზეიმოდ გაიხსნა მუზეუმის პირველი გამოფენა, რამაც საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

უკვე 1930 წლისათვის, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო-კვლევით და კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბდა, მნიშვნელოვნად გამდიდრდა მისი ფონდსაცავიც. აღსანიშნავია, რომ ტრიფონ ჯაფარიძემ, როგორც სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის რწმუნებულმა (ისევე, როგორც შემდეგში გიორგი ბოჭორიძემ) უდიდესი როლი შეასრულა იმერეთის

In December of 1992 museum department got a status of independent institution according to the Georgian Ministry of Education commissariat's edict. Tripion Japaridze, the first director of museum decided to make an exhibition to show the public and to assure them with well preserved collection. In June 10, 1923 was opened museum's first exhibition, which merited greatest likes and acknowledgments from society.

When we are talking about Kutaisi Museum, we have to remember its first director Tripion Japaridze. He made museum the top centre of scientific researches and culture in 1930. Significant was growing of its funds. It was a result of collective work of society.

ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ძეგლთა დაცვის საქმეშიც. 1923 წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ აქტიურად წამოიწყო ეკლესიების ვანდალური განადგურების კამპანია, ტრიფონ ჯაფარიძემ ყველაფერი იღონა, რათა გელათის მონასტერი ძეგლად და მუზეუმის ფილიალად გამოცხადებულიყო და მასში დაცული ეროვნული საგანძური მუზეუმში გადაეტანა. თუმცა, მოგვიანებით, თვითონაც ემსხვერპლა 30-იანი წლების რეპრესიებს.

წლების განმავლობაში (განსაკუთრებით XX საუკუნის 60-იანი წლებიდან) ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი მნიშვნელოვნად გამდიდრდა ქვეყნის კულტურისა და ისტორიის სხვადასხვა პერიოდის ამსახველი ექსპონატე-

In 1923 there began ruining of churches and protests against the religious. It became dangerous to destroy Georgian forged art's unique models - icons and unique manuscripts. Tr. Japaridze did everything to protect those exhibits. He reached the decision about Gelati Monastery (now UNESCO World Heritage Site) treasure and brought them to museum and announced it as memorial museum and branch of main museum. He also protected St. Relics of St. Brothers David and Konstantin. Those saint materials were kept in Kutaisi museum until the beginning liturgy in Motsameta Monastery. Unfortunately he died during the repressions in 1930.

After expedition in 1925-1926 in west Georgia collected artifacts were given to Kutaisi's museum. In 1924 Peter Chabukiani Kutaisian attorney in protection antiquities,

გარდამოსნა. ატლასი, ოქრომკედი, 1664 წ.
Epitaphion. Satin, golden wire, 1664





გრიფონი. ბრინჯაო, სასანური პერიოდი
Gryphon. Bronze, Sasanian period

ბით. 1965 წელს მუზეუმს მიენიჭა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელი და მასში ჩამოყალიბდა ახალი განყოფილებები. მუზეუმში აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევა და წარმატებით ავითარებს კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციას. 1968 წელს კი, მუზეუმის თანამშრომლებმა საფუძველი ჩაუყარეს მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი მასალების კრებულის გამოცემის ტრადიციას, რაც ამჟამადაც გრძელდება (დღემდე გამოცემულია 20 კრებული). 1970 წელს მუზეუმისა და მისი იმჟამინდელი დირექტორის მიხეილ ნიკოლეიშვილის უშუალო ინიციატივით, დაარსებული იქნა გე-

art and paleontological monument found in Tetramitsa, nearby Kutaisi, settlement of Neolithic humanity. It was the first discovery of Neolith culture in Georgia.

Since second half of XX century the museum had successfully enriched fund and had interesting researches. In 1965 museum was named after Niko Berdzenishveli. There were created departments: funds, old history, middle centuries and art, modern history, ethnography and cultural-instructive. Since 1968 museum began to




გაბრიელ მთავარანგელოზი
 (წმ. ნიკოლოზის ხატის დეტალი)
 ტიხრული მინანქარი, ოქრო, XI ს.

Archangel Gabriel (detail of St. Nicholas Icon). Cloisonne enamel, Gold. XI c.

ლათის სახალხო აკადემია, რომელიც მიზნად ისახავდა ძველი აკადემიის მეცნიერული მემკვიდრეობისა და ეროვნული კულტურის პრობლემების შესწავლას. გარდა ამისა, მუზეუმი ყოველწლიურად აწყობდა მხარის შემსწავლელ ექსპედიციებს, უკვე სამი ათეული წელია, მუზეუმის მონაწილეობით წარმატებით მიმდინარეობს ქუთაისისა და მისი შემოგარენის (ბაგრატი, გელათი, მონამეთა) არქეოლოგიური კვლევები, ეწყობა დროებითი გამოფენები და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამები.

90-იანი წლების მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა მუზეუმის საქმიანობა და გააუარესა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რის გამოც მუზეუმის ფონდები ქალაქის ოთხ სხვადასხვა შენობაში იქნა გადატანილი. მუზეუმის ხელმძღვანელობამ (დირექტორი პროფ. ომარ ლანჩავა) წამოიწყო ზრუნვა მუზეუმის ახალ სივრცეში განთავსებისათვის, რაც მიმდინარე წელს წარმატებით დასრულდა დაწესებულებისათვის ყოფილი ეროვნული ბანკის შენობის გადაცემით (ინჟინერ ვ. სახაროვის პროექტი, 1894-1896 წწ.), რომელშიც სამუზეუმო კოლექციების განთავსებისა და ექსპონირების სამუშაოები ჩატარდება თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების გათვალისწინებით.

დღეისათვის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი განძთსაცავი და მნიშვნელოვანი სამეცნიერო-



ითივალური ქანდაკება
ბრინჯაო, ძვ. წ. VII-VI ს.

Fertility anthropomorphic figurine
Bronze, VII-VI cc. BC

publish its own scientific articles by museum's scientists. For today 20 collections are issued. Almost in every year museum has its own expedition in Kutaisi and nearby. For results there is a Hugh archaeological research in Bagrati, Gelati and Motsam-



ქუთაისის ისტორიული მუზეუმი
(მუზეუმის ადგილსამყოფელი 2011 წლამდე)

Kutaisi Historical Museum
Museum space till 2011

საგანმანათლებლო დაწესებულებაა. არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ნუმიზმატიკის, ჭედური ხელოვნების, ტექსტილის, ხელნაწერთა, ეპიგრაფიკის, ფოტო და სხვადასხვა ტიპის საარქივო მასალების 200 ათასზე მეტი ნიმუში შესანიშნავ მასალას წარმოადგენს არამხოლოდ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობის გაცნობისა და შესწავლისათვის, არამედ ახალი, საკმაოდ ტევადი ინფორმაციით გაამდიდრებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის კვლევა-ძიების საქმესაც.

eta during 30 years. In 1970 Gelati public academy was founded. Its future reason had to study problems of old academy and make propaganda of modern researches. In academy were teaching Georgian and foreign teachers and professors.

Permanent exhibitions are displayed in 10 spaces on two floors. In 2005 had finished reconstruction of the “Gold Treasury” hall, and at the moment the permanent display there is done according the modern standards. In 2006 have started rehabilitation of the museum – a full reconstruction of the facilities according the international standard.

Today’s the museum houses more than 200 thousand items of cultural heritage of the country (from IX-VII cc. BC up to late medieval times). Among them are: Bronze Age and Antiquity period monuments – archaeological discoveries from western Georgia, rare samples Georgian, Roman, Byzantine and Oriental history, everyday life and culture rare objects, collection of oldest epigraphic monuments and Georgian manuscripts – rare charters, ethnographic materials, significant samples of items (goldsmith works, metalwork, ceramics, leather, glassworks, textiles, woodcuts).





XV ს-ის ოთხოვის მინიატურა. ქალაღი, ოქრომელანი, ფერადი საღებავი. 11.5X8.5 სმ.
Gospel's Miniature. Paper, golden ink, colour pigment. 11.5X8.5 cm. XV c.

არქეოლოგიური კოლექცია

**ბუნებისა და პალეონტოლო-
გიის ფონდი.** ქუთაისის სახელმწიფო
ისტორიული მუზეუმის ბუნებისა
და პალეონტოლოგიის განყოფილე-
ბაში ძირითადად განთავსებულია
გეოლოგიური და პალეონტოლოგიური
ნივთების კოლექციები. მათი ძირითა-
დი ნაწილი მოპოვებულია დასავლეთ
საქართველოს, კერძოდ კი იმერეთის
ტერიტორიაზე, რომელიც ძალზე მდი-
დარია სასარგებლო წიაღისეულით.

საკმაოდ მრავალფეროვანი პალე-
ონტოლოგიური ფონდის (ამონიტები,
ბელემნიტები, ცხოველთა და მცენა-
რთა ანაბეჭდები, ზღვის სხვადასხვა
ბინადართა გაქვავებული ფორმები
რიცხს ქვებსა თუ კირქვებზე) შესწავ-

Fund Of nature and paleontology. They
had been gathered in the museum since
the day of its foundation. We meet there
collections of minerals of different kinds,
metal ores, precious stones, fossil organ-
isms and their prints, which are the first
and the most important among natural
objects. They give us a chance to ascertain



ARCHAEOLOGICAL COLLECTION

ლა ცხადყოფს, რომ ამ ტერიტორიაზე ეს ორგანიზმები დაახლოებით 200-150 მილიონი წლის წინ არსებობდა. ფონდში მრავლადაა ხის მერქნის გაქვავებული ნიმუშები, რომელთა ასაკი 275-185 მილიონი წელია და პალეოზოური ხანის ქვანახშირისა და პერმულ პერიოდებს უკავშირდება. მათი მრავალსახეობა და გავრცელების სიხშირე ნათლად მიგვანიშნებს, რომ საქართველოს ტერიტორიის ეს მონაკვეთი, გარდასულ ეპოქებში ტროპიკული ზღვით ყოფილა დაფარული.

მუზეუმში დაცულია პალეოანთროპოლოგიური კოლექცია, რომელთა ნაწილი მოპოვებულია იმერეთის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად; აგრეთვე გეოლოგიური კოლექცია, რომელშიც დაცულია სხვადასხვა ლითონის მადნებისა და მინერალების მრავალფეროვანი ნიმუშები.

how flora and fauna of Georgia had been changing in the past geological epochs. In mentioned collections there are gathered the earliest remainders of animals, which age is 300-200 million years. Variety of ammonites, belemnites, sea-urchins and mollusks wide spread on the territory of Georgia points out that once this most beautiful area was covered with the sea.



ქუთაისის მუზეუმის მრავალფეროვან ფონდებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არქეოლოგიურ ფონდს, რომელიც 40 000-ზე მეტ ექსპონატს ითვლის. მათი უმეტესობა მოპოვებულია ქუთაისსა და მის შემოგარენში ჩატარებული გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ნაწილი კი შემთხვევით მონაპოვარს წარმოადგენს. არქეოლოგიური მასალები, რომელთა შეგროვება ჯერ კიდევ 1912 წლიდან დაიწყო, მუზეუმში შემოსულია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა, აფხაზეთი), ხოლო ცალკეული ექსპონატები — აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიიდან და თურქეთიდან.

არქეოლოგიური კოლექცია მოიცავს პერიოდს ქვედა პალეოლითიდან გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით. მათ შორისაა: სხვადასხვა ეპოქის სამეურნეო, სანადირო და საომარი

Among the different collections, most interesting and different materials are kept in archaeological fund. It contains more than 40000 artifacts. Most part of this collection was discovered during Kutaisi's archaeological excavations and part of them is accidentally found materials. Collecting of these materials began since 1912 year. They are coming from different regions of



კოლხური ამფორის ყელი. ძვ. წ. IV ს.
Cochian amphore (upper part). IV c. BC

კრამიტსამარხი. ძვ. წ. III ს. ქუთაისი, 2005 წ.
Tiled grave. III c. BC. Kutaisi, 2005



ანტიკური პერიოდის ნამოსახლარის გათხრები. ქუთაისი, 2005 წ.
Archaeological excavations of antique period. Kutaisi, 2005



იარაღები, საკულტო და რელიგიური დანიშნულების ნივთები, ქვეყნის ტერიტორიაზე ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის განვითარების ამსახველი საგნები, სამეურნეო ყოფის, სახვითი ხელოვნების, მხარის ეთნოლოგიისა და საერო ცხოვრების ამსახველი მრავალრიცხოვანი ნიმუშები.

კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პალეოლითის ეპოქის ადამიანთა ცხოვრებასთან დაკავშირებულ მასალებს. ქუთაისის მხარეში უძველეს ადამიანთა ნაკვალევს შესწავლა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მიმდინარეობს. როგორც მიკვლეული მასალებით გაირკვა, აქ, რიონ-წყალნითელას ხეობაში (“საკაჟია”, “ორთვალა მღვიმე”, “ჭახათა”, “ცუცხვათი”, თეთრამინა და სხვ.), იმერეთის ტერიტორიაზე მდებარე ბუნებრივ კარსტულ მღვიმეებსა და ღია სადგომებში დაახლოებით 100 ათასი წლის წინ უცხოვრია მუსტიეს ეპოქის ადამიანს, რომელიც მეთევზეობითა და ნადირობით ირჩენდა თავს.

ამ პერიოდისა და საზოგადოების განვითარების მომდევნო ეტაპების



თიხის მათარა. ძვ. წ. IV-III სს.
Ceramic flask. IV-III cc. BC

West Georgia and a small part comes from East, South and North parts of Georgia and even from North Caucasus and Turkey. Collection is dated from late Paleolithic to middle ages. The artifacts are shown with different kind of industrial, hunting and fighting weapons, also for cult practice and

კოლხური ცული (სურმუში). ძვ. წ. IX-VIII სს.
Colchian axe (Surmushi). IX-VIII cc. BC





ქალის ითიფალური ქანდაკება
გეგუთი. ძვ. წ. V ს.

Female ithyphallic figure. Geguti. V c. BC

religious materials.

From XIX century in Kutaisi began studying footprints of oldest humanity. Right here, about 100 thousand years ago in the gorge of rivers Rioni and Tskaltsitela lived the first human from the Middle Paleolithic age (Sakajia, Chakhata, Tsutckhvati, Tetramitsa). There tracks were found in caves and in open spaces. This is an epoch when human's main job was collecting of food, fishing and hunting. Proofing materials are shown in museum exhibition.

The next stage of development in human's life is Neolithic period, when they began industrial thrift life. To illustrate this epoch there are a lots of flint spearheads, arrowheads, hand miles from Tetramitsa, Meloury, Akhaldaba and even from Kutaisi. With developing industry and castle-breeding was developed handicraft productions, clay vessels knitting and sewing clothes too. In funds are kept ancient materials from different villages of Imereti (Dzevri, Sachkhere, Low Simonety, Chiatura, Chkhari and Tkibuli).

In archaeological fund there are represented various materials of so called Colchis culture: bronze axes- typical only for Colchis culture. Some of them are engraved and adorning with vegetable and geometrical ornaments, also with dears, dogs, fishes, dragons and with fylfot; weapons - bronze spearheads, arrowheads, poniards head of rods; things to decorate horses and human's clothes too; bronze utensils fragments with zoomorphic adornments and statues. Some of them have fertility meaning. In this regard very interesting is bronze statue of the man from Persati (By the opin-

(ნეოლით-ენეოლითის, ენეოლით-ადრებრინჯაოს ეპოქები) შესახებ ნათელ წარმოდგენას ქმნის მუზეუმში დაცული მრავალრიცხოვანი კოლექცია: კაჟის შუბისპირები, ისრისპირები, ხელსაფქვავეები, აგრეთვე ხელოსნობის ნიმუშები და კერამიკული ნაწარმი იმერეთის სხვადასხვა კუთხიდან (საკუთრივ ქუთაისი, თეთრამინა, მელოური, ძვერი, ჭიათურა, საჩხერე, ტყიბული და სხვ.).



მძივები. ძვ. წ. III ს.
Beads. III c. BC

არქეოლოგიის ფონდში ინახება კოლხური კულტურის სახელით ცნობილი ბრინჯაოს ნაწარმის თითქმის ყველა სახეობის შესანიშნავი ნიმუშები: კოლხური ცულები (მათ შორის: გრავირებული, მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით, ირმების, ძაღლების, თევზების, გველეშაპისა და სვასტიკის გამოსახულებებით შემკული), საბრძოლო იარაღი: შუბისპირები, ისრისპირები, სატევრები; სამკაულები და ითიფალური ქანდაკებები (ფერსათი, გორისა, გეგუთი) და სხვა.

კოლექციაში დაცულია საქართველოში ძველთაგანვე დამკვიდრებულ ხარის კულტთან დაკავშირებული არაერთი არქეოლოგიური ნიმუში. მათ შორის, ხარის მინიატურული ქანდაკება (დღნორისა, ძვ. წ. VIII ს.), ასევე ვერძის (ზნაკვა), ძაღლის (ქუთაისი), ცხვრის (სვირი, ხომული) ბრინჯაოს ქანდაკებები და მცირე ზომის სხვა პლასტიკური ხელოვნების ნიმუშები. რომლებიც ატარებს არა მხოლოდ მაგიურ, ტოტემურ და საკულტო ხასიათს, არამედ ცხადყოფს ადამიანთა უძველესი ტომების ესთეტიკურ მოთხოვნილებებსა და გემოვნებასაც.

ion of scientists this is pagan idol Kviria).

Archaeological and Ethnographical materials are proofing development of oxen cult in Georgia. There is a tiny bronze oxen figure dated VIII c. BC. from Dgnorisa, similar statues are found in Maglaki as well. In numismatic funds are housed Colchis silver coins and they have imprinted oxen heads



ხარის ქანდაკება. ბრინჯაო, ძვ. წ. VIII ს.
Ox figure. Bronze, VIII c. BC



ბრინჯაოს ჭვირული ბალოები. ძვ. წ. II ს. - ახ. წ. II ს.
Bronze openwork buckles. II c. BC - II c. AD

არქეოლოგიური ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ანტიკური ხანის მასალები (კერამიკა, მინა, რკინა, მონეტები), რომლებიც საყურადღებოა კოლხეთის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების შესწავლის თვალსაზრისით. მრავალსაუკუნოვანი

and are dated VI-IV cc. BC. There are as well sheep bronze figure from Znakva, dog figure from Kutaisi, sheep ceramic figures from Sviri, Dablagomi; sheep figure from Khomuli, dated from Eneolith epoch. That tiny plastic art works show development of magic rituals and religious sights, so humanity development on this way.

ზარაკები. ანტიკური პერიოდი
Bells. Antique period



In funds important role have ancient materials (pottery, glass, iron and coins) which are meaningful in studying Colchis (Kolkheti) with its social-economical and political-cultural development. During several centuries seeking ancient city - Kutaisi was found in the plain of Kutaisi and important part of these artifacts are already in the museum's collections.

In different periods museum's expeditions had found materials from Greece, Rome, Middle Asia, Egypt-Syria and Iran which is a good example of trading relations with the rest world. From imported mate-

ძიების შედეგად მიკვლეული იქნა ანტიკური ნაქალაქარი ქუთაისის ვაკე ნაწილში და ადრეანტიკური ხანის (ძვ. წ. V-IV სს.) სამარხეული კომპლექსი "ცაცხვების უბანში" და სხვ.

სხვადასხვა დროს მუზეუმის სამოქმედო ზონის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა ბერძნულ-რომაული, წინა აზიური, ეგვიპტურ-სირიული და ირანული წარმომავლობის სხვადასხვა სახეობის ნაწარმი (მინის სანელ-საცხებლები, ვერცხლის რიტონი, თიხის ჭრაქები, კანთაროსები, სასანური ხანის ბრინჯაოს ქანდაკება გრიფონის გამოსახულებით, ონოხოია და სხვ.), რომელიც ცხადყოფს გარესამყაროსთან ფართო სავაჭრო-ეკონომიკურ კონტაქტებს.

ფონდში მრავლადაა დაცული წინაქრისტიანული ხანის მხატვრული მელითონეობის უკანასკნელი ეტაპის ამსახველი ნიმუშები (ბრინჯაოს ჭვირული ბალთები, რომლებიც ძვ.წ. II და ახ. წ. III სს-ით თარიღდება, შუა საუკუნეების კერამიკული ნაწარმისა და რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, მოჭიქული კერამიკის კოლექციები, წარწერიანი ანტიფიქსები და სხვ.

მუზეუმის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ფონდი უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვნად გამდიდრდა ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 30-წლიანი მუშაობის შედეგად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალებით (30 ათასი ერთეული), რომელიც მთლიანად გადაეცა მუზეუმს.


რის several artifacts are of great importance: glass made, silver rhyton, ceramic oil-lamps and Greek pottery types dated II c. BC, also a fragment of an amphora from Thasos, dated IV-III cc. BC. In museum also is an Iranian pestle from Bori and Sassanid bronze gryphon. We have to mention Colchis bronze buckles dated from II c. BC to III c. AD. These bronze materials are oldest and artifacts which were made by Colchis.

In archaeological fund there are lots of materials from middle centuries: pottery and iron materials. Especially impressive are glassed pottery dishes, tiles and antefixums with inscription.

Museum's archaeological department was enriched by new discovered artifacts several times during the last 30 years.

მინოტავრი. ძვ. წ. V ს.
Minotaurus. V c. BC





ბაგრატის ტაძრის სამარხის მასალები. VIII ს. აღმოჩენილია 2009 წელს
Materials from archaeological excavation of Bagrati Monastery (2009). VIII c.

ნუმიზმატიკის ფონდი. ნუმიზმატიკური კოლექციის (კოლხური, ბიზანტიური, თურქული, სპარსული, არაბული და სხვა მონეტები) უმეტესობა ძირითადად იმერეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, რაც ნათლად მიგვანიშნებს დასავლეთ საქართველოს, კერძოდ ქუთაისის წამყვან როლზე საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში.

ფონდში დაცულია კოლხური დიდრაქმა - უძველესი მონეტა (ძვ. წ. VI ს.), კოლხური დრაქმა (ძვ. წ. V ს.) ლომის თავის გამოსახულებით, ქუთაისის, ზარათის, ხონის, ფერსა-

Numismatic Collection. Among the funds of Kutaisi Museum numismatic materials take one of important and particular places, which reflect the century-old history of our country with particular exactness. The oldest coins, which are kept in the fund of numismatics are Colchis drachms coined in VI-V centuries BC. Here are also kept unique Colchis drachms coined in V century BC.

In the fund there are protected collections of Colchis half-drachms coined in IV-III centuries B.C., which are represented as treasure of Kutaisi, Zarati, Khoni, Persati, Dgnorisa, Meskhети and others. In the fund of numismatics there are preserved



კოლხური დიდრაქმა (ავერსი და რევერსი). ძვ. წ. VI ს.
Colchian Didrahma (Averse and reverse). VI c. BC

თის, დღნორისას, მესხეთის და სხვა განძების სახელით ცნობილი კოლხური ნახევარდრაქმების კოლექციები, რომელთა განსაკუთრებული სიმრავლე მოწმობს ძველი კოლხეთის ეკონომიკურ სიძლიერეს; ხოლო აღექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერი,

Alexander Macedonian's golden and silver coins, golden Colchis coins of II-I centuries B.C., Greek, Roman, the Bosphorus, Ptolemy's Egyptian's, Mithridates of Pontus also Byzantine and Sassanid coins. In the museum there are kept also Arabic coins of IX-X centuries, Byzantine golden and



კოლხური დრაქმა (ავერსი და რევერსი). ძვ. წ. V ს.
Colchian dragma (Averse and reverse). V c. BC

კოლხური ოქროს სტატერები (ძვ. წ. II-I სს.), ბერძნული, რომაული, პონტოს, ბოსფორის, მიდიის, პართიის, არაბული და ბიზანტიური, თურქული მონეტები ცხადყოფს მის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს გარე სამყაროსთან.

ფონდში დიდი რაოდენობითაა დაცული დავით აღმაშენებლის, გიორგი III-ის, თამარ მეფის, რუსუდანის, დემეტრე I-ის, ლაშა გიორგის, დავით ნარინის და საქართველოს სხვა მეფეთა მიერ მოჭრილი მონეტები, აგრეთვე ქართული ფული, ე. წ. “ქართული თეთრი” და სხვა მონეტები.

electrum coins of XI century. In the fund there are preserved many coins of Giorgi III, Tamar Queen, Rusudani, Lasha Giorgi. Here is also the questionable coin of David Agmashenebeli (the Builder). There are also many Ottoman, Persian, Russian and Soviet coins and collections of paper-money, coins from different countries of the world. These numismatic materials are of a great importance for studying Georgian economical and political-cultural history.

კოლხური სტატერები. ძვ. წ. III-I სს.
Colchian staters. III-I cc. BC





ალექსანდრე მაკედონელის მონეტა. ძვ. წ. III ს.
Alexander the Great's coin. III c. BC



მითრიდატეს მონეტა ძვ. წ. I ს.
Mithridates coin. I c. BC



რომის იმპერიის მონეტები. ძვ. წ. I ს. - ახ. წ. I-II სს.
Roman Empire coins. I c. BC - I-II cc. AD



ბიზანტიური მონეტები. VI-VII სს.
Byzantine coins. VI-VII cc.



კირმანეული თეთრი. XIII-XV სს.
Cyrmaneuli Tetri. XII-XV cc.



ქართული თეთრი. 1821 წ.
Georgian tetri. 1821

ეთნოგრაფიის ფონდი

ფონდში დაცულია არამარტო იმერეთის მხარისა და საქართველოს ყოფისათვის დამახასიათებელი მასალები, არამედ იმ უცხო ქვეყნების ყოფა-კულტურის ამსახველი ნივთები, რომლებთანაც ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ისტორიული იმერეთის რეგიონს. ეთნოგრაფიული მასალების რაოდენობა 8 000 ერთეულს აღწევს. ფონდში წარმოდგენილია ლითონის, ხის, ტყავის, კერამიკის, მინა-ფაიფურის კოლექციები.

ლითონების ნაკეთობების კოლექციის ფონდი აერთიანებს რკინის,



In ethnographical fund of Kutaisi State Museum there are represented about 8000 museum pieces. They contain period from XII to XX century. According to the materials it contains funds of metal, wooden, ceramic, glass, china, leather, stone and textile things, which represent valuable materials for studying history of the region. In the fund of metal there are kept rare models of folk gold-smithery works, such as numerous and various silver vessels for drinking: bowls, jugs, goblets and others; fretted and decorated belts, sabres, daggers.

ექსპოზიციის ფრაგმენტი
Exposition fragment

ETHNOGRAPHY FUND

სპილენძისა და თითბერისაგან დამზადებულ ნივთებს, რომელთა შორის მრავლადაა საოჯახო მოხმარების ჭურჭელი (თეფში, თასი, ქვაბი, თუნგი და სხვ.), სარიტუალო ნივთები, რომელთაგან ზოგიერთზე წარწერები მიგვანიშნებს ნივთის კუთვნილებაზე (მაგალითად, “ბატონიშვილი ვახუშტი”, “მეფე ერეკლე”, “ხუცისშვილი დათუნასია” და სხვ.), აგრეთვე რკინის სამეურნეო იარაღები (ნამგლები, თოხები, ცულები, ნაჯახები), ოსტატთა (ხელოსანთა) ხელსაწყო-იარაღების კომპლექტები.

მუზეუმის ფონდში დაცულია აგრეთვე ვერცხლის ჭურჭელი, რომელთა უმეტესობა წარმოადგენდა სამეგრელოს მთავრების - დადიანების საგვარეულოს საკუთრებას: თასე-

ვერცხლის ქამრები. XVIII-XIX სს.

Belts. Silver. XVIII-XIX cc.



ლანგარი. ვერცხლი. XVII ს.
მიძღვნილი წარწერით (გორდის ეკლესიიდან)

Tray. Silver. XVII c.
With inscription (from Gordi church)

Here are kept different types of economic smithy products, things and dishes connected with housekeeping: rake, kettles, pots, boilers, copper jugs and etc. Folk



ბი, სურები, აზარფეშები, ფიალები, სირჩები და სხვ.

ტყავის ნაკეთობებიდან აღსანიშნავია ცხენის აღკაზმულობის ნიმუშები - იმერული და მეგრული უნაგირების კომპლექტები, ღვინის გადასაზიდი ჭურჭელი (ტიკი და რუმბი), იმერულ ყოფაში გავრცელებული ადგილობრივი და ევროპული წარმომავლობის ფეხსაცმელი (ქალამანი, წულა და სხვ.).

ხის ნაკეთობებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეკლესია-მონასტრების ნაგებობათა დეტალები, ხის სარიტუალო ჭურჭელი, ხეზე კვეთილობის იშვიათი ნიმუშები, მუსიკალური ინსტრუმენტები (ორძალი, ლარჭემი, ჩანგი, ჭუნირი, გუდასტვირი და სხვ.), მევენახეობა-მეღვინეობასთან, შინამრეწველობასთან (კერძოდ, საფეიქრო და საქსოვ საქმიანობასთან) დაკავშირებული ნივთები, დაზგები და იარაღები. მათ შორის ყველაზე ადრინდელია XI საუკუნით დათარიღებული ლაშეს (ხარაგაული) და ქორეთის (საჩხერე) ეკლესიათა



ქორეთის ეკლესიის კარი. XI ს.
The door of Koreti church. XI c.

ხის სკივრი. XIX ს.
Wooden trunk. XIX c.



ceramic dishes, collections of glass, china, crystal products are of a great importance. There are also silver materials which belonged to the Dadiani family, princes of Samegrelo. Among them are plates, dishes, jugs, cups, bowls etc. From wooden materials there are significant: furniture, ornamented details of administrative buildings, dishes for housekeeping purposes, tools and vessels connected with viticulture and gardening, musical instruments, or-



ვერცხლის ჭურჭელი. XIX ს. სამეგრელოს მთავრის - დავით დადიანის (1808-1853 წწ.) კოლექციიდან
Wessels. Silver. XIX c. From collection of David Dadiani (prince of Samegrelo, 1808-1853)



კარები, რომლებშიც ეროვნული ხალხური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ორნამენტული დეკორია გამოყენებული. კომპოზიციური გადანწყვტის თავისთავადობითა და ქართული მთისა და ბარისთვის დამახასიათებელ ორნამენტთა სიუხვით გამოირჩევა საცხოვრებელი სახლის სვეტები, ჩუქურთმიანი სკამლოგინები, სავარძლები, სკივრები და ხალხური ყოფის სხვა ნივთები.

მინის, ფაიფურის და კერამიკის ფონდში დაცული მასალები ცხადყოფს ქართველ ხელოსანთა გამორჩეულ ოსტატობას და ფანტაზიას. ფონდში დაცული მრავალფეროვანი ჭურჭლის (ჭინჭილა, ჯამი, ფიალა, საღვინეები და სხვ.) და მოჭიქული კერამიკის ნიმუშები უმეტესწილად დაკავშირებულია საქართველოში ფართოდ განვითარებულ მეღვინეობის კულტურასთან და უძველეს ქართულ ფორმებს იმეორებს.



ქალის სამკაულები და ოქრომჭედლის დაზგა. XIX ს.

Jewellery exposition and goldsmith's machine. XIX c.



namented doors of churches. Here is kept collection of jewelry, where collections of folk products - agate things and others are very significant. Among leather things there are distinguished materials connected with everyday life and equipments for horse. Among stone materials there are significant hand-mills, hearth stone, water filter, mantel piece, "ketsi" (earthenware frying-pan to bake maize-flour) and etc.



ქამრის ბალთები. მოოქროვილი ვერცხლი. XIX ს.
Buckles of Belts. Gilded silver. XIX c.



გუდასტვირი. XIX ს.
Bagpipe. XIX c.



მეგრული სალამური. XIX ს.
Mengrelian flute. XIX c.

ჭედური ხელოვნების კოლექცია

ჭედური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები (ხატები, ჯვრები, სარიტუალო ჭურჭელი და სხვა ნაკეთობები), რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ქართულ ეკლესია-მონასტრებში იყო დაცული, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუზეუმებს გადაეცა. ასე შეიქმნა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშების ფონდი (ქრონოლოგიური ჩარჩო - X-

Kutaisi Museum is rich with exhibits of metalwork. Among them have to be mentioned the patterns of gold-smithery art - icons, crosses and ritual things. They came to the museum from Imereti, Racha and Lechkhumi churches after Georgia had joined the Soviet Union. Nowadays in the museum there are preserved excellent patterns of Georgian medieval gold-smithery works chronologically concerned to X-XVIII centuries.

სტავროთეკა. ვერცხლი, 19X9.8 სმ. X ს. ამბროლაური, სოფ. ჯვარისა
Reliquary. Silver, 19X9.8 cm. X c. Ambrolauri, village Jvarisa



THE COLLECTION OF METALWORK

XVIII სს.), რომელიც მოიცავს ქუთაისის, შორაპნის, რაჭისა და ლეჩხუმის ეკლესია-მონასტრების საგანძურის ძირითად ნაწილს. რელიგიურ დატვირთვასთან ერთად, დღეს ისინი მოიაზრებიან ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ძეგლებად და ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით და სიუჟეტურ-მხატვრული გადაწყვეტით მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშთა გვერდით.



სახარების ყდა. ოქრო, 13.5X8.8 სმ. XVI ს. ტყაჩირი
Cover of Gospel. Gold, 13.5X8.8 cm. XVI c. Tkachiri

ღმრთისმშობელი (გულსაკიდი)
ვერცხლი, 5.5X5.3 სმ. XIV-XV სს.

The Virgin (pendant)
Silver, 5.5X5.3 cm. XIV-XV cc.





მათ შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სტავროთეკა - ჯვრის მოსათავსებელი ვერცხლის ზარდახმა (X ს., ამბროლაური, სოფ. ჯვარისა), სამწერობელი (ქუთაისი) და მთავარანგელოზთა ხატი (ხარაგაული), XI საუკუნის ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშები — ამალღებისა და შობის ლორფინები (ფიქალღებისგან შექმნილი კრამიტი, შორაპანი და მონამეთა); წმ. გიორგის ხატი (ხონი), მკაფიოდ გამოკვეთილი კომპოზიციებით ხასიათდება სხვაგვარ ჯვრის ფრაგმენტები, მთავარანგელოზის ხატი (სოფ. ჩუკული, სვანეთი), მაღალმხატვრული ტიხრული მინაქრით შემკობილი ჯვარცმის ხატი (ამბროლაური, სოფ. ხონჭიორი), წმ. გიორგის XI-XII სს.-ის ხატი, თამარის მეფობის პერიოდში შექმნილი მაცხოვრის ოქროს ხატი (მონამეთა) და გულსაკიდი ჯვრის სანაწილე (სოფ. ზედა ვანი)

მუზეუმში დიდი რაოდენობითაა დაცული XIII-XVI საუკუნეების ჭედური ხელოვნების ძეგლები (მთავარანგელოზთა ხატი გუმათიდან, რაჭა - ლეჩხუმის ოსტატთა, მათ შორის, მამნე ოქრომჭედლის XVI ს.-ის ნამუშევრები და სხვ.), მნახველთა და სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პალიასტომის ღვთისმშობლის XII საუკუნის სასწაულმოქმედი ხატი (XVI საუკუნის მოჭედილობით), აგრეთვე მუზეუმში

Among them are: reliquary - silver box for keeping crosses (from village Jvarisa, dating V-X cc.), St. George icon from Khoni, the fragments of archangels icon of XI c. (village Chukuli, Svaneti), icon, crucifixion cross with enamel from village Khonchiori, icons of St. George from Shoda (XI-XII cc.) and Christ icon from Motsameta, cross from Zeda Vani dated with the epoch of Queen Tamar, etc.

They are distinguished with their technical mastery and artistic subject-matter among the monuments of world importance. Gold-smithery monuments kept in

გულსაკიდი ჯვარი. XVI ს.
Pectoral cross. XVI c.



ღმრთისმშობლის ხატი (პალიასტომის ხატი)
ოქრო, ვერცხლი, მინაქარი, 135X92.5 სმ. XII ს.
Icon of Virgin (Paliastomi icon)
Gold, silver, enamel, 135X92.5 cm. XII c.

დიდი რაოდენობით არის დაცული თეგური ხელოვნების გელათური ხატები (XVI ს.) და სხვ.

ქუთაისის მუზეუმის ფონდში დაცული ოქრომჭედლობის ნიმუშები საინტერესოა არა მხოლოდ მაღალმხატვრულობის თვალსაზრისით, არამედ უაღრესად საყურადღებო წარწერებით, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

the museum's collections are interesting not only with aspect of art, but they are also important with their valuable inscriptions, which contain significant notes about social-economical and political history of Georgia. The unique models of metalwork art housed in the museum are collected in catalogues and the researches have made by Georgian or foreign scientists.

სამწერობელი
ვერცხლი, 87.5X87.5 სმ. X ს. ქუთაისი

Ripidia
Silver, 87.5X87.5 cm. X c. Kutaisi





მიქაელ მთავარანგელოზი. მოლოქროვილი ვერცხლი, 25X12 სმ. X ს. ჩუკული
Mikhael Archangel. Gilded silver, 25X12 cm. X c. Chukuli



ჯვარცმა. ოქრო, ვერცხლი, ტიხრული მინანქარი, 28.5X23.7 სმ. XI ს. ხონჭიორი
Crucifixion. Gold, silver, cloisonne enamel, 28.5X23.7 cm. XI c. Khonchiori



წმ. გიორგის ხატი. მოოქროვილი ვერცხლი, 39.7X20.7 სმ. XI ს. ლაილაში
St. George Icon. Gilded silver, 39.7X20.7 cm. XI c. Lailashi



სანაწილე. ოქრო, ვერცხლი, 5.6X7.2 სმ. XI ს. ზედა ვანი
Encorpion. Gold, silver, 5.6X7.2 cm. XI c. Zeda Vani



ტისრული მინანქარი (ოთხთავის შემკულობა). ვერცხლი, 33X25.5 სმ. XI ს. ხონჭიორი
Cloisonne enamel (Gospel's decor). Gilded silver, 33X25.5 cm. XI c. Khonchiori



შობა უფლისა. მოკეროვილი ვერცხლი, 32.8X34 სმ. XI ს. მონამეთა
Christmas. Gilded silver, 32.8X34 cm. XI c. Motsameta



